სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა

სამი საუნჯე

№ 1(20), 2024



თბილისი
2024

ელექტრული ვერსია

სარჩევი

მინაწერები

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), **მცნებანი სიყვარულისა** 4



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

მცნებანი სიყვარულისა

სიყვარულის სახეობათა ასახსნელად, შესაძლოა, პოეტური სტრიქონების დახმარებით გრძნობები სწორად განგვეწყო, მაგრამ შემეცნებისთვის, უმჯობესია, დასაწყისში უშფოთველი გონება წავიმძღვაროთ და ცნებათა შინაარსის სწორად დადგენის შემდეგ, თუნდაც პოეტების ლაჟვარდოვანი აღმაფრენაც გავიზიაროთ. ცნებათა შესახებ იმიტომ მოგახსენეთ, რომ ყველა სიყვარული ერთნაირი ხარისხისა არ არის და, ამასთან, ზოგი კეთილი თვისებისაა და ზოგი უკეთურისა.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ორი უმთავრესი მცნება მოგვცა: **დიდი და პირველი მცნება** – სიყვარული ღმრთისა, და **მეორე, მსგავსი ამისი** – სიყვარული მოყვასისა.[1] მოყვასში კი ყოველი ადამიანი, მათ შორის პირადი მტერიც[2], იგულისხმება.

მაცხოვრის მოწოდებას მტერთა სიყვარულისკენ ჩვენ **პირადული** მნიშვნელობა იმიტომ მივანიჭეთ, რომ არც მოციქულებსა და არც წმიდა მამებს ღმერთისა და ჭეშმარიტების გონიერი მტრების, მათ შორის, ცოდვის პროპაგანდისტთა და ეშმაკთა სიყვარულზე არასდროს უქადაგიათ. ჩვენ ყველა შეცდომილი და ცოდვიანი კაცი გვებრალება, მაგრამ ბოროტების შეგნებულ მსახურებს და ადამიანთა სულების წარმწყმედლებს ვერ შევიცოდებთ. როცა კაცის მზაკვრობა შეცოდებისა და შებრალების ზღვარს გადალახავს, ქრისტეს ეკლესია მის წინააღმდეგ სასჯელის უკიდურეს ფორმას მიმართავს და ანათემის გამოცხადებით ცოდვის შვილს თავისი წიაღიდან სრულიად განკვეთს და განაგდებს.

ეკლესიის მიმართ ტირანთა და მწვალებელთა მტრობის გამო, ზო-

[1] მთ.22,37-40. მრკ.12,29-31.
[2] ლკ.6:27,35.

გჯერ წ^ა მამები მათ წინააღმდეგ შემწეობისთვის ღმერთს ევედრებოდნენ. მაგალითად, როცა წ^ა **ბასილი დიდი** ყ^დ წ^ა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე, რომელზეც დიდებული მოწამე **მერკურიც** იყო გამოსახული, ლოცულობდა მძვინვარე იულიანე განდგომილისგან ხსნისათჳს, მოწამე ცოტა ხნით ხატიდან გაქრა და შემდეგ თავის ადგილზე გასისხლიანებული ლახვრით დაბრუნდა.[1] ცნობილია, რომ იმ დროს ბრძოლის ველზე მცველებით გარემოცული იულიანე, მართლაც, გაურკვეველი მხრიდან ნატყორცნი ისრით განიგმირა და მას მხოლოდ ეს სიტყვებიღა აღმოხდა: «შენ გაიმარჯვე, გალილეველო».

მეორე შემთხვევა წ^ა **ნესტორ თესალონიკელს**(+.306 წ.) უკავშირდება. იგი იძულებული შეიქნა, რომის იმპერატორის მაქსიმიანეს ბრძანებით სასტიკ გოლიათს, სახელად ლჳეოსს, გლადიატორთა არენაზე დაპირისპირებოდა. ჭაბუკი ნესტორი უთანასწორო ბრძოლაში ღმრთის წინაშე მეოხებისთვის წ^ა დიმიტრი თესალონიკელს შეევედრა და მისი სასოებით გაძლიერებულმა «მოკლა უსჯულო ლეო ლოცვითა წმიდისა დიმიტრისათა»(ხს. ძვ. სტ. 27 ოქტომბერს).

მესამე «მკვლელი» წ^ა მამის ამბავიც შეიძლება გავიხსენოთ. წ^ა **იაკობ ნასიბინელმა** «მოკლა უშჯულოჲ იგი და მცბიერი არიოზ წყეული საჭურველითა ღმრთისამიერითა, რამეთუ ლოცვასა მისსა ღმრთისა მიმართ იქმნა ენაჲ მისი უმკუეთლეს უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორპირისა. და მით მოკლა ბილწი იგი და მცბიერი არიოს წყეული და **იჳსნა სამწყსოჲ ქრისტესი წამლისა მისგან მისისა მაკუდინებელისა და წარმწყმედელისა,** ვითარცა წერილ არს: „მოისპენ უღმრთოჲ, რაჲთა არა იხილოს მან დიდებაჲ ღმრთისაჲ“(ეს.26,9). შემდგომად სიკუდილისა არიოზ უღმრთოჲსა წმიდაჲ ესე კრებული[2] განიბნია და წარვიდეს კაცად-კაცადი თჳსსა ვანად სიხარულითა დიდითა».[3]

ასე რომ, უღმრთო მწვალებლის მოკვლას კრების მიერ მიღწეული შედეგით გამოწვეული **დიდი სიხარული** არ გაუნელებია. ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია, ერთსა და იმავე საქმეს გარემოებათა გათვალისწინებით სრულიად ურთიერთსაპირისპირო შეფასება მიეცეს. ნასიბინელი ეპისკოპოსის „ცხოვრებაში“, აგრეთვე, დამოწმებულია შურითა საღმრთოჲთა აღძრული **ფინეზ მღვდელის** ბიბლიური ეპიზოდი: «რომელმან მოკლნა ორნი იგი, რომელნი ცოდ-

[1] Польное собрание творении св. Иоанна Дамаскина, т. **I, СПб., 1913.** გვ. **413.**

[2] იგულისხმება 325 წლის ნიკეის მსოფლიო კრების მამები.

[3] შატბერდის კრებული X ს., გამც. ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979. გვ. 361.

ვიდეს და **მათ ძლით მოისრვოდა ერი იგი ღმრთისაჲ**, ხოლო მოკლვამან მათმან დააცხრვო რისხვაჲ ღმრთისაჲ და დაეყენა სიკუდილი, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას ფსალმუნთასა: „დადგა ფინეეზ, იჴსნნა იგინი, დაეყენა სიკუდილი, შეერაცხა სიმართლედ თესლითი თესლამდე და მიუკუნისამდე“(ფს.105,30-31)».[1]

წ^ა **იოვანე ოქროპირიც** მსჯელობას ფინეზის მაგალითზე, როგორც მკვლელობის გამართლების განსაკუთრებულ შემთხვევაზე, აგებს და **მამამთავარ აბრაამისა** და **პეტრე მოციქულის** მკვლელობათათჳსაც ანალოგიური დასკვნა გამოაქვს: «შესაძლებელ არს, რომელ ერთი იგი საქმე ოდესმე საჴმარ არნ და ოდესმე უჴმარ, და ამას ყოველნივე საქმენი ამის სოფლისანი ღაღადებენ...

იხილე კაცის კლვაჲ, რომელ განცხადებულად ეშმაკისა მოპოვნებაჲ არს და დიდითა ბოროტებითა სავსე, არამედ იგიცა ჟამსა თჳსსა კეთილ იქმნა და ფინეზს შეერაცხა სიმართლედ თესლითი თესლადმდე და მიუკუნისამდე, და მღდელობაჲ სამარადისოჲ მისცა მას(რიცხ.25,1-15). და რაჲთა სცნა, ვითარმედ კაცის კლვაჲ ეშმაკისაგან არს, ისმინე, რასა ეტყჳს უფალი ჰურიათა: „თქუენ მამისა თქუენისა ეშმაკისაგან ხართ და გულისთქუმაჲ მამისა თქუენისაჲ გნებავს ყოფად. იგი კაცისმკვლელი არს დასაბამითგან“(ინ.8,44). გარნა **ფინეზ** კაცისმკლველ იქმნა და შეერაცხა მას სიმართლედ; და კუალად **აბრაჰამ** შვილსა თჳსსა დაკლვად ჴელი მიყო და შეერაცხა სიმართლედ(დაბ.22,1-18) და **პეტრე** მოციქულმან ანანია და სამფირა მოკლნა და იქმნა საქმე იგი კეთილ და სულიერ(საქმ.5,1-11)».[2]

მაშასადამე, მომაკვდინებელი და წარმწყმედელი საწამლავი როგორც სულიერი, ისე ფიზიკური დანიშნულებისა შეიძლება იყოს და მისგან ქრისტეს სამწყსოს ხსნა საღმრთო საქმეა; ხოლო ამგვარ წამალთა გამავრცელებლებისა და მოუნანიებელი ეშმაკის მსახურებისადმი ლოიალობა, პირიქით, საზოგადოების მორალურ გახრწნას უწყობს ხელს. საბოლოოდ კი, ზნეობრივად გამოფიტული მასა ხდება მშობელი ბრეივიკებისა, რომელთა მოვლასა და კონფორტზე, როგორც საკუთარ ნაშიერზე, თვითვე ზრუნავს. განა ვინმესთვის დაფარულია, როგორ ზრუნავს ევროპა სერიული მკვლელის ყოფითი პირობების გაუმჯობესებასა და უმაღლესი განათლების მიცემაზე?!

[1] იქვე.

[2] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წ. 1, რედ. მზ. შანიძე, თბ., 1996. გვ. 308-309.

ჩვენ, ქრისტიანებს, არავის წარწყმედა არ გვინდა და არც ჯოჯოხეთში შთანთქმას ვუსურვებთ ვინმეს, მაგრამ ჩვენი **სამშობლოს, ეკლესიისა** და **ოჯახის** დაცვას მამაკაცური ღირსების საქმედ მივიჩნევთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, არც თავის დადებაზე ვამბობთ უარს. ჩვენ ჩვენი სიყვარულის არცერთ საგანს მტერს უბრძოლველად არ ვუთმობთ. მიზეზი ამისა არა მტერთა სიძულვილი, არამედ ჩვენს უძვირფასეს და უწმიდეს საუნჯეთა მიმართ თავდადებული სიყვარულია.

სწორედ ამიტომ მართლმადიდებლური სამართლის კოდექსი, ანუ დიდი სჯულისკანონი, სამართლიან ბრძოლაში მონაწილეობას ქრისტიანს არ უკრძალავს, ანუ ომში კაცის კვლას ცოდვად არ შეურაცხავს. ხოლო ამჟამად გავრცელებული ზოგიერთი აშკარად მტრული სექტა და ლგბტ-ორგანიზაცია, ჩვენი აზრით, საზოგადოებას არანაკლებ მწვავე ბრძოლაში იწვევენ, რადგან – თუ ისინი ჯერ-ჯერობით იარაღასხმულნი არ გამოდიან, ეს არ ნიშნავს, რომ ზნეობრივ გადაგვარებას ნაკლები ზიანის მიყენება შეუძლია ქვეყნისათვის. ქრისტიანული მორალი გვკარნახობს: **სახელმწიფოში ცოდვის დაკანონება არა მარტო საზოგადოების სულიერად დასახიჩრებისკენ, არამედ იმავე სახელმწიფოს რღვევისკენაც არის მიმართული. ეს თეზა კაცობრიობის ისტორიამ მრავალჯერ დაადასტურა.**

რაც აქამდე ვთქვით, ვფიქრობთ, ცხადად გვიდასტურებს მოყვასისადმი სიყვარულის არაერთგვაროვან გააზრებას, ვინაიდან კაცის კვლაც კი სიმართლედ შეიძლება შეირაცხოს, თუ იგი «ჟამსა თჳსსა» კეთილი და სულიერი განზრახვით არის აღსრულებული. რა თქმა უნდა, დაშვება დიდი ბოროტებისა, ანუ კაცის კვლისა, ყოველთვის საღმრთო განგებულებით ან საღმრთო სჯულით არის განსაზღვრული და მას არაფერი აქვს საერთო კაცთაგან, კერძოდ, ნიკოლო მაკიაველის მიერ, შეთხზულ დებულებასთან, რომლის მიხედვითაც დასახული მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება, მათ შორის მკვლელობაც კი, გამართლებულია.

საერთოდ, ქრისტიანული სჯული არათუ მარტო ბოროტმოქმედებას, არამედ კაცსა და ქალს შორის **უკანონო სიყვარულსაც** კი კრძალავს. მიუხედავად სათნოებათა შორის ყველაზე აღმატებული სტატუსისა, სიყვარულსაც სჯულიერი საზღვრები აქვს დადებული. მაგალითად, ცნობილია, რომ გარკვეული ნათესაური კავშირები ქორწინებას აფერხებს, ჯვარდაუწერლად ქალისა და მამაკაცის ოჯახური

ურთიერთობა არამართებულია, ცოლ-ქმრული ურთიერთობის გარდა ყოველგვარი კავშირი სიძვა ან მრუშობაა; ლგბტ-თა ნებისმიერ სასიყვარულო კავშირებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ერთი სიტყვით, რა „გარდარეული“ სიყვარულიც არ უნდა ტანჯავდეს ადამიანს, თუ იგი არასჯულიერია, მაშინ მას არა სიყვარული, არამედ მხოლოდ ვნებიანი ლტოლვა ან ცოდვიანი წადილი შეიძლება ეწოდოს.

როგორც ვხედავთ, კაცისა და ქალის სიყვარულსაც თავისი განსაკუთრებული წესები აქვს და მოყვასისადმი სიყვარულის კერძო სახეს წარმოადგენს. იგი ორმხრივი კავშირისკენ ისწრაფვის და სისავსეს გაერთიანებით აღწევს, რათა ორი ადამიანი ოჯახის შექმნით ერთ სულ (III ეზრ.4,21) და ერთ ხორც (შესქ.2,24. მთ.19,5) იქმნეს. მაშინ როცა, ჩვეულებრივ, სიყვარული – მოწყალებით, თანადგომით ან თავდადებით გამოხატული, – შესაძლოა უცნობი ადამიანის მიმართაც გამოვლინდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ სახლიკაცთა, ნათესავთა ან მეგობართა უანგარო დახმარებაზე.

ოჯახური სიყვარულის თავისებურება, აგრეთვე, ისიცაა, რომ ცოლ-ქმრის ურთიერთობას იერარქიული უფლება-მოვალეობანი განსაზღვრავს, რაც მოყვასისადმი სიყვარულის სხვა შემთხვევათათვის სრულიად არააუცილებელი მოვლენაა; იგი, უბრალოდ, თავის გამოსავლენად იერარქიულ მოთხოვნებს არ საჭიროებს და, როგორც ვთქვით, ყველა მტერ-მოყვარეზე ერთნაირად ვრცელდება. ოჯახური ურთიერთობა ცალკე რომ გამოვყავით, ეს მისი ღირსების დამცრობას სულად არ ნიშნავს, რადგან «პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ»(ებრ.13,4). ჩვენ ცოლ-ქმრულ სიყვარულზე მხოლოდ იმიტომ შევჩერდით, რომ, განსაკუთრებული ბუნების მიუხედავად, მკითხველისთვის მისი კაცობრივი თვისებანი შეგვეხსენებინა და ზომიერების დაცვით[1] გადავსულიყავით უფრო აღმატებულ საკითხზე, რასაც საღმრთო სიყვარული ჰქვია.

პირველ რიგში სიყვარულის მოციქულს მივმართოთ, რადგან მისი, განსაკუთრებით, პირველი კათოლიკე ეპისტოლე შეიცავს სრულყოფილ მოძღვრებას ღმრთის სიყვარულზე და გვახედებს გულის იმგვარ საიდუმლოებში, რომლებიც მარტოოდენ უფლის მკერდს მიყრდნობილს შეეძლო ეგრძნო. თავიდან სწორედ აღნიშნული ეპისტოლიდან მოვიტანთ გამოკრებილ მუხლებს:

[1] შეისწავე: ზომიერების დაცვა ისაა, რომ ღმრთისა და კაცთა სიყვარული ერთმანეთში არ აგვერიოს.

«ყოველი, რომელსა **უყუარდეს**, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი»(4,7). ასევე: «ყოველსა რომელსა **ჰრწმენეს**, ვითარმედ იესუ არს ქრისტე, იგი ღმრთისაგან შობილ არს»(5,1). – ე.ი. ვისაც აქვს ღმრთისა და მოყვასის სიყვარული, ან ვისაც აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ორივე ღმრთისგან შობილია, ხოლო შობილი ღმრთისაგან «სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი»(5,4). წ^ა იოვანე ღმრთისმეტყველი სიყვარულსა და სარწმუნოებას სრულ ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებაში განიხილავს და ადამიანის ღმერთთან თანამყოფობის საკითხში ორივე ცნებას თანაბარი მნიშვნელობით იყენებს. მაგალითად, როცა იგი ღმრთისადმი სიყვარულის დამადასტურებელ საქმეს გვისახელებს და ამბობს: «ესე არს სიყვარული ღმრთისაჲ, რაჲთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ»(5,3), მცნებებში ისევ სარწმუნოებასა და სიყვარულს გულისხმობს: «და ესე არს მცნებაჲ მისი, რაჲთა **გურწმენეს** სახელი ძისა მისისა იესუ ქრისტესი და **ვიყუარებოდეთ** ურთიერთას, ვითარცა მომცნა მცნებაჲ. და რომელი იმარხვიდეს მცნებათა მისთა, მის თანა ჰგიეს და იგი თავადი მის თანა»(3,23-24).

ღმერთი მასთან მყოფობს, ვისაც სარწმუნოება და სიყვარული აქვს: «**რომელმან აღიაროს, ვითარმედ იესუ არს ძჱ ღმრთისაჲ, ღმერთი მის თანა ჰგიეს** და იგი ღმრთისა თანა. და ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და **რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს** და იგი ღმრთისა თანა»(4,15-16). ამრიგად, ღმრთისმეტყველის მიხედვით, ღმერთსა და კაცს შორის სინერგიის პირობები ცხადად არის გამოკვეთილი და ორი უმთავრესი სათნოების – სარწმუნოებისა და სიყვარულის – თანაბარი მნიშვნელობაც განსაზღვრულია. ამასთან, საყურადღებოა, რომ იოვანე მახარებელი აღნიშნულ სინერგიას ამ სოფლის საძლეველ საშუალებად განიხილავს და მხოლოდ მისი ამქვეყნიური სარგებელით იფარგლება.

ახლა ვნახოთ, წ^ა პავლე მოციქული რატომ ახდენს სათნოებათა დიფერენციაციას: «ხოლო **აწ** ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყვარული, სამი ესე; ხოლო **უფროჲს** ამათსა სიყვარული არს»(1კორ. 13,13). – აქ საყურადღებოა დროის გარემოება „აწ“, რომელიც, როგორც კონტექსტის, ისე წ^ა მამათა განმარტებების[1] მიხედვით,

[1] ვსარგებლობთ ოპტის უდაბნოს ტაძრად მიყვანების სტავროპიგიალური მამათა მონასტრის ეგზეგეტიკური ვებ-გვერდით: **bible.optina.ru**//Толкования Священного Писания.

მიგვითითებს ახლანდელ, ამქვეყნიურ ვითარებაზე. ამჟამინდელ საწუთრო ცხოვრებაში სარწმუნოებითა და სასოებით მოველით მერმინდელსა მას, ხოლო საუკუნო ცხოვრების დადგომის შემდეგ რეალურად ანუ პირისპირ ვიხილავთ მას, რაც უნახავად გვწამდა და რასაც იმედით მოველოდით. ე.ი. ეს სათნოებანი – სარწმუნოება და სასოება – საბოლოოდ არსებობას შეწყვეტენ და კაცობრივ სულთა მომავალი სრულყოფისთვის დაუსრულებელ სიყვარულს შეერთვიან. სწორედ ამ გაგებით, ანუ არა საწუთრო, არამედ საუკუნო განზომილებით – უფროჲს სარწმუნოებისა და სასოებისა სიყვარული არს.

ამრიგად, იოვანე ღმრთისმეტყველისა და პავლე მოციქულის განსაზღვრებათა შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის, თუკი შინაარსს სწორად გავიაზრებთ და ჟამთა განსხვავებას სათანადო მნიშვნელობას მივანიჭებთ: «თჳთ სამთა ამათ შინა **სიყუარული უფროჲს დაუსრულებელ არს,** რამეთუ სარწმუნოებაჲ და სასოებაჲ საუკუნოჲსა მისთჳს ცხორებისა გუქონან, ხოლო რაჟამს მას მივემთხჳნეთ, ესენი არღარად საჴმარ არიან ჩუენთჳს; არამედ სიყუარული თჳთ მერმესა მას შინა ცხორებასა უმეტეს შეგუემატების და ჩუენ თანა ჰგიეს დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა».[1]

მოციქულთა ერთსულოვნებასა და სწავლათა შესაბამისობას თვით პავლე მოციქულის სიტყვები ადასტურებს: «დასასრული მცნებისა არს სიყუარული გულისაგან წმიდისა, და გონებისა კეთილისა, და სარწმუნოებისა შეუორგულებელისა»(1ტიმ.1,5). – ამ დარიგებას მოციქული აძლევს თავის სულიერ შვილს ტიმოთეს, რათა მან ეფესელებს ამცნოს, რომ ამაოდმეტყველებას არ მიეცნენ და იქონიონ პატიოსნებასა და მტკიცე სარწმუნოებაზე დაფუძნებული გულითადი სიყვარული.

წ^ა **თეოფანე დაყუდებულის** განმარტებით: «მთავარი სიყვარულია, ხოლო მის ხარისხს, სიცხოველესა და მისწრაფებას წმიდა გული, კეთილი გონება(უმწიკვლო სინდისი) და გულწრფელი სარწმუნოება განაპირობებენ. ისინი განუყოფლად არსებობენ, ერთმანეთში მიმოიქცევიან, ერთმანეთს შეეწევიან და განაძლიერებენ. სიყვარული სამოთხის მრავალნაყოფიერი ხეა, ხოლო მისი კვებისა და გაზრდისათვის აუცილებელი ნიადაგი, ატმოსფერო, სითბო, ნათელი და სინოტივე არის სიწმინდე გულისა, სიმყუდროვე სინდისისა და სიწრფელე სარწმუნოებისა».

პავლენის ამავე მუხლზე ა. ლოპუხინის მემკვიდრეთა კომენტარიც,

[1] სამოციქულოს განმარტება, ტ. II, გამც. ექ. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2006. გვ. 296.

გვგონია, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს: **«დასასრული მცნებისა** ... აქ „მცნებაში“ (paraggeliva), როგორც ჩანს, ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრება იგულისხმება. ამ ზნეობრივი მოძღვრების მიზანია, ქრისტიანის გულში განმტკიცება ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულისა, რომელიც მარტოოდენ სრულიად წმინდა გულიდან შეიძლება აღმოცენდეს,... წმინდა გულის საძირკველი კი სუფთა სინდისია(საქმ.24,14-16. 1კორ.4,4), რომელსაც თავის თავში ღმრთისა და კაცთა წინაშე არავითარი დანაშაული არ შეუცვნია; ხოლო ამგვარი სინდისი იშვება სარწმუნოებისგან, რომელსაც არა მარტო ბაგეებით აღიარებენ, არამედ, რომელიც თავისი შინაგანი არსებითაც ჭეშმარიტია. ამგვარად, აქ **სარწმუნოება** კეთილი გონებისთვისაც და წმიდა გულისთვისაც დასაბამს წარმოადგენს».[1]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: სიყვარული, როგორც მარადიული ფასეულობა, ყოველ სათნოებაზე აღმატებულია, მაგრამ საბოლოო მიზნის მიღწევამდე, ანუ კაცის განღმრთობამდე, იგი სარწმუნოებასთან ერთად მოქმედებს, იღვწის და ისწრაფვის მთავარი მიზნისაკენ, რათა სხვა სათნოებათა თანადგომით გამდიდრებულმა იმეფოს უკუნისამდე, ამინ.

16.02.2024.

[1] დასხ.: bible.optina.ru.

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

რუსოფობია ცნებების შინაარსს ვერ შეცვლის! *

ახლა, როცა საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა დასავლელი ლიბერალების შეთქმულება შეუდრეკლად ამხილეს და «უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ» სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონი მიიღეს, თავიანთი შეუპოვრობით ჩვენც, რიგით მოქალაქეებსაც, სამშობლოს წინაშე პასუხისმგელობა აღგვიმაღლეს, ვინაიდან მტრული ძალების შემოტევათა განმეორების შემთხვევაში, ხელისუფლებასთან ერთად მამულისთვის ბრძოლა და თავდადება თითოეულ მოქალაქეს მოგვეთხოვება. ამ ერთობის ძალა კი, ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს დაანახა ოჯახის სიწმინდის დაცვისა და მშობელთა პატივისცემის სადღესასწაულო დღეს, როცა მთელმა ერმა, როგორც სალაშქროდ გამოსულმა ქუდზე კაცმა, ქალაქებისა და სოფლების ტაძრები და მოედნები აავსო.

ამიტომ სწორედ ახლა, ამ ამძვინვარებულ სამყაროში ყველა ჩვენს ქმედებას და, განსაკუთრებით, ჩვენს მთავარ იარაღს - სიმართლეს - მოფრთხილება სჭირდება. «სამართალი სასჯელი საჯეთ»(ინ.7,24), ხოლო «დაღაცათუ გევნებოდის სიმართლისათვის, ნეტარ ხართ, ხოლო შიშისა მის მათისაგან (ბოროტის მყოფელთაგან) ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით»(1პეტ.3,14). წმიდა მოციქულებს უნდა დავუჯეროთ, რადგან მათი ბაგეები სულიწმიდის მადლით მეტყველებენ.

მეც კნინოდენ მათი მიმდევარი ვარ და მჯერა, რომ ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მცდელობა სიმართლესთან მისაახლოებლად, ანუ საზოგადოებაში ასე ფესვგადგმული რუსოფობიის აღმოსაფხვრელად უშედეგოდ არ ჩაივლის. ადრე ნათქვამის გამეორება უხერხულია, მაგრამ შეხსენება კი აუცილებელია, რომ ჩვენ სრულიად გაუნათლებელ და

---

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.06.2024.

კაცთმოძულე ერს ვემსგავსებით, როცა ცრუ პროპაგანდას დაუკვირვებლად და გაუანალიზებლად ვემორჩილებით. არა აქვს მნიშვნელობა, ამ პროპაგანდისთვის ვინ რომელ ტრიბუნას ან ამბიონს იყენებს, გონიერი ადამიანი ვალდებულია, თუნდაც ყველაზე გავრცელებული ლოზუნგი ან შეხედულება კრიტიკულად შეაფასოს და მისი ავ-კარგიანობა არა პოპულისტურ, არამედ სამართლიან საზომს დაუქვემდებაროს.

ამჯერად, ჩვენი ყურადღება მიიქცია საზოგადოება „ქართულის" დამფუძნებლის გიორგი გაბუნიას შეფასებამ: „მინდა ვკითხო საზოგადოებას, რა განსხვავებაა ამ ქართველთმოძულე მიხაელ როთსა და იმ რუს ეგზარქოსს, პავლეს შორის, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველი ერი ამბიონიდან დაწყევლა და შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს კულტურას, ჩვენს ისტორიას?! მინდა გითხრათ, რომ არანაირი განსხვავება არ არსებობს"(იმედი-ნიუსი, 02.06.2024).

ერეტიკოსი მ. როთის მკრეხელური დამოკიდებულება ქართველი ერისა და მისი აღმსარებლობის მიმართ საზოგადოებისთვის ცნობილია, მაგრამ მასთან მართლმადიდებელი მღვდელმთავრის გაიგივება, თუნდაც მის მიმართ წაყენებული ბრალდების გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. თუმცა, გასაგებია რუსოფობიური იდეოლოგიის მოთხოვნა, რომ როგორმე მოძიებულ უნდა იქნეს რუსეთის მაკომპრომეტირებელი, თუნდაც საეჭვო, ფაქტი, რომელიც მის ბოროტმოქმედებას კიდევ ერთხელ მწვავედ განგვაცდევინებს.

პირველ რიგში, გამოთქმული აზრის ავტორმა უნდა იცოდეს საგანი, რომელზეც მსჯელობს. მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის რუსეთისიც და საქართველოსიც, ერთი ორგანიზმია. ყველა ადგილობრივ ეკლესიას ერთი საერთო თავი ჰყავს - უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ჩვენ, მსოფლიო ეკლესიის მთელი მრევლი, ერთმანეთისთვის ვლოცულობთ და ჭეშმარიტების გონიერ მტერთა მიერ ამჟამად შემოტანილ განხეთქილებას, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ წამოიწყო, ვცდილობთ, წინ აღვუდგეთ და უკანონო დადგენილებებს გავრცელების საშუალება არ მივცეთ.

გამჭვირვალობის კანონმა ნათლად დაგვანახა, რომ ლიბერალურ ფაშიზმს არა სამართალი, არამედ საკუთარი დამპყრობლური მიზნების განხორციელება აინტერესებს, რომლის მთავარი სამიზნე მართლმადიდებელი ეკლესია და მისი ამქვეყნიური მთავარი მცველი რუსეთის სახელმწიფოა. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისედაც დამძიმებული მდგომარეობის შემსუბუქება მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით

შეიძლება. პოლიტიკური შუღლი თუ ეკლესიაშიც შემოვიტანეთ, მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მტრის მანქანებით ჩატეხილ ხიდებს ვეღარავინ აღადგენს.

ბოლოს და ბოლოს, ადამიანურ ფაქტორს მაინც გავუწიოთ ანგარიში. ზოგს მამა ჰყავს რუსი, ზოგს დედა, ზოგს მეგობარი... ჩვენი ქართველი მამები რუსეთში მოღვაწეობენ, იქაურ ქართულ სამრევლოებს პატრონობენ, ადგილობრივ სამღვდელოებასთან ერთად ჟამს წირავენ და ღმერთს ევედრებიან, რათა ჩვენს შორის მშვიდობა სუფევდეს და სიყვარულმა თვალნი გონებისანი აგვიხილოს. ნაცებს აყოლილმა ადამიანებმა კი, ეთნიკური სახელი „რუსი“ ბოროტების ცნებას გაუიგივეს და გამჭვირვალობის კანონსაც მისი დამღა დაასვეს, თითქოს ამით ქართული ფილოლოგია და ლინგვისტიკა შეიცვლებოდა. გონების მეტად დაბნელება შეიძლება?! როგორც ჩანს, შეიძლება, ვინაიდან მათ დამატებით მოიფიქრეს ნებისმიერ კითხვაზე გასაცემი უნივერსალური და ყოვლისმომცველი პასუხი - „იმიტომ“, რომელიც თავის თავში ყველა არგუმენტსა და ყოველგვარ კომენტარს გულისხმობს!

ხუმრობა იქით იყოს და, გარდა ნაცებისა, რუსოფობია საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმაც შეითვისა. თუ ადრე „რუსი მოდის“ შეძახილით ქართველები მტერს აფრთხობდნენ, ახლა ზოგისთვის „რუსი“ სალანძღავ ტერმინად გადაიქცა. ძნელია განუსწავლელ ან დამახინჯებული საისტორიო თხზულებებით განსწავლულ ადამიანებთან კამათი, მაგრამ იქნებ დასაწყისში, სანამ საკუთარ აზრს კარდინალურ მნიშვნელობას მივანიჭებდეთ, გავეცნოთ დოკუმენტურ წყაროებს, განსხვავებული მოსაზრებების მქონე ქართველი მეცნიერების ნაშრომებს, შევაჯამოთ ჩვენი ცოდნა და შემდეგ, ზომიერების დაცვით, გამოვხატოთ პოზიცია, იქნებ იგი სხვათათვისაც ანგარიშგასაწევი აღმოჩნდეს.

მარტო იმის ჩვენება, რომ შენ რუსთმოძულე ხარ, ღირსებას ვერ შეგმატებს, ხოლო მსმენელს სარგებლობას ვერ მოუტანს. ზემოთ მოყვანილი ციტატაც ანალოგიურია: გარდა რუსი ეგზარქოსის, აქედან გამომდინარე კი, მთელი რუსი ერის დაკნინებისა, ავტორს სხვა მიზანი არც ჰქონია, ვინაიდან თანამედროვე გერმანელი პოლიტიკოსის სამხილებლად XIX ს-ში მოღვაწე რუსი მღვდელმთავრის სახელის ლაფში ამოსვრა განზოგადებული ანალოგიაა, რომლის ბადალი ბ-მა გ. გაბუნიამ საქართველოს ვრცელ მატიანეში ვერსად მოიძია.

ახლა კი, ციტირებული ამბავი მიმოვიხილოთ. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ საგაზეთო წერილში პრობლემურ ისტორიულ ეპიზოდებზე

ფართო დისკუსიას ვერ გავმართავთ, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს სტატიაში მოტანილი ცნობების გასაცნობად საჭირო წყაროები ელ-ფოსტის საშუალებით შეგვიძლია მივუთითოთ. აგრეთვე, წინასწარ ვიტყვით, რომ ჩვენი თემის სრულ ანალიზს, სავარაუდოდ წელს, გამოვაქვეყნებთ მეორე ტომში მონოგრაფიისა: «დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ».

1886 წლის **24** მაისს თბილისში მომხდარი მკვლელობის თაობაზე პირველ ცნობებს წმიდა **ილია მართლის**(ჭავჭავაძე) გაზეთი „ივერია“ და ცნობილი მოღვაწის დეკანოზ **დავით ღამბაშიძის** ჟურნალი „მწყემსი“ გვაწვდიან.

იმ დროს მთელი ქალაქი შემაძრწუნებელ ამბავზე ლაპარაკობდა. თბილისის სემინარიის რექტორი, დეკანოზი **პავლე ჩუდეცკი** ამავე სასწავლებლიდან სამი თვის წინ გარიცხულმა სტუდენტმა **იოსებ ლაღიაშვილმა** ხანჯლით მოკლა. მაშინ ამ განზრახ აღსრულებულ დანაშაულს მორალურადაც და სამართლებრივადაც საზოგადოება ერთნაირად აფასებდა. მას უწყალო, შეუბრალებელ, მხეცურ და საზარელ საქციელად მოიხსენებდნენ, ხოლო გულკეთილი და განათლებული მოძღვრის სიცოცხლის მოსპობით დამწუხრებული ადამიანები იმედს გამოხატავდნენ, რომ ღმერთი მოწამეობრივი ცხოვრების აღსრულებისთვის მას ზეციურ გვირგვინს განუმზადებდა.

26 მაისს, განსვენებული რექტორის დასაფლავების დღეს, კუკიის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, წესის აგების შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსმა **პავლემ**(ლებედევი) წარმოთქვა, რომელიც „მწყემსის“ გარდა სხვა რუსულ პერიოდიკაშიც დაიბეჭდა. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ეს გამოცემები და დავრწმუნდით, რომ ტექსტები იდენტურია და მეუფე პავლეს სიტყვის მხოლოდ ერთი ვარიანტის არსებობა ეჭვს არ ბადებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მასალა არ არსებობს, «ქართველებმა მთელი არსებით დაიჯერეს», რომ ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო. ამ საკითხზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ სრულიად საქართველოს პატრიარქის, წმიდა კალისტრატეს (ცინცაძე, +.1952 წ.) და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის (+.1913 წ.) ჩანაწერებით დავკმაყოფილდეთ. კალისტრატე თბილისის სემიანარიაში მკვლელი ი. ლაღიაშვილის თანაკლასელი იყო და ამიტომ მისი მოგონება საინტერესოა:

«მე ვიყავი „სტიქაროსანი“ და ყოველთვის მათავისუფლებდნენ სემინარიიდან მღვდელმთავრების წირვის დროს. იმ დღეს არ გამათავისუფლეს და ამიტომ **არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა**: მართლა წარმოთქვა თუ არა ეგზარქოსმა პავლემ ის ფრაზა, რომელსაც მას მიაწერენ. დაბეჭდილ სიტყვაში იგი გამოტოვებულია, თუმცა მლოცველებმა და დამსწრეებმა გადმომცეს, რომ მღვდელმთავარმა წარმოთქვა: „წყეულიმც იყოს ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედს შობს“. ვიმეორებ, მე არ ვიცი, იყო თუ არა წარმოთქმული ეს ფრაზა»(-ჩემი მოგონებებიდან/საღვთისმეტყველო კრებული, #3, 1987. გვ.30).

კათალიკოსს ამ საეჭვო ამბავზე აზრი რომ არც შემდგომ შეუცვლია, თხზულების თავფუცელზე 1941 წელს გაკეთებული მისივე მინაწერი ადასტურებს: «ამ მოგონებებს გადავხედე და დავრწმუნდი, რომ ისინი დაწერილია მრისხანებისა და მიკერძოების გარეშეო».

არ. ჯორჯაძე რექტორის მკვლელობისას, მართალია, მხოლოდ 14 წლის ყმაწვილი იყო, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით მის მიერ 1911 წელს გამოქვეყნებული „წარსულის გაკვეთილები“, ფაქტობრივად, პირველი პუბლიკაციაა ეგზ. პავლესა და ქუთაისის გუნერნიის თავად-აზნაურთა მაშინდელ წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს შორის გამართული მიმოწერისა. თუმცა, ავტორი წყაროებს არ უთითებს:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსთ-მთავრული მოწყალება და **თუ,** გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ **ამბობენ**, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენელისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც **ამბობენ**, **ვითომ** თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდვილესს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე **ახალი დიდი შეცოდება**.

ხოლო **თუ** ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური **დიმიტრი ყიფიანი.**

8 ივნისს 1986 წელ. სად. მიხაილოვო“.

ეგზარხოსმა პავლემ მეორე დღესვე წერილობითვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ #199(უნდა იყოს #139 - ბ.გ.). რაც შეეხება უგუნურ(нелѣпыхъ) ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური **პავლე არხიეპისკოპოსი,** საქართველოს ექსარხოსი.

9 ივნისს 1986 წელს“(თხზ., წ. II, გვ.173-174).

თუ ჩვენც „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე“ განვიხილავთ ამ წერილებს, ვფიქრობთ, სუბიექტური (სავარაუდო) და ოფიციალური (ფაქტობრივი) პოზიციები ერთმანეთს იმგვარად უნდა შევუთანხმოთ, რომ რადიკალიზმისგან თავი დავიზღვიოთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლესი საეკლესიო იერარქისადმი სავარაუდო საკითხზე კატეგორიული მიმართვა განათლებული თავადისგან მოულოდნელია; მით უმეტეს, რომ წერილში მწყემსმთავრისადმი წაყენებულია მოთხოვნა ქვეყნის დატოვებისა მისი „ღირსების გადარჩენისა“ და „ახალი დიდი შეცოდების“ თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, დიმიტრი ყიფიანის „უცნაური წერილის“ მძაფრი ემოცია უკვე ბრძოლაში ჩაბმული მხედრის პოზიციიდანაც შეიძლება აიხსნას, რადგან ერთი წლით ადრე, 1885 წელს იგი კავკასიის მთავარმმართებელს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს ქართული ენის შევიწროვების გამო დაუპირისპირდა. ეს ცალკე თემაა, მაგრამ რექტორის მკვლელობის დროისთვის ვითარება იმდენად იყო გამწვავებული, რომ დ. ყიფიანს ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III-ის დავალებით „შესაფერისი გაკიცხვა“ ჰქონდა გამოცხადებული.

ამასთანავე, ნუთუ მთავარეპისკოპოსის სიტყვის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც წყევლისა და შეჩვენების შესახებ არაფერია ნათქვამი, ქართველ პუბლიცისტებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ არსებული

ფაქტი და სინამდვილედ გაფორმებული „დაუჯერებელი ხმები“ ისტორიის კუთვნილებად უნდა გადაექციათ?! - მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაზე მეტად ზემოქმედებს აუგად მოსახსენებელი საქმენი, ვიდრე მადლი და წყალობა კეთილისმყოფელთა მხრიდან.

ერთი სიტყვით, ვინც როგორ არ უნდა ცვალოს ისტორიული მოვლენები, მართლმადიდებელ მოღვაწეთა მორალური სახე დასავლელ ერეტიკოსთა ანალოგიად არასდროს გამოდგება. უცოდველი არავინაა, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ეკლესიაა წმიდა და გადამრჩენელი; ამიტომ იგი უწმინდურ საქმეთა პროპაგანდისტად და შუღლის დამნერგველად არასდროს გადაიქცევა.